№ 148 | 1877—1899 | № 148

ოთხშაბათი, 14 ივლისი, 1899 წ.

# ივერია

ოთხშაბათი, 14 ივლისი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

შევისწავლე რა **საეკკლესიო მხატვრობა** მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

## საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდანოვის სახლი. **ანდრეევი.** (30—78—30)

## მგზავრთა საყურადღებოდ

ახლად დაარსებულ იქმნა ქართველ მგზავრთათვის

სასტუმრო

## „აბაშა“

ტფილისის მეორე მაღაზნის ქუჩაზედ.

ეს სასტუმრო ძალიან კარგსა და მარჯვე ადგილას არის: ტფილისის რკინის გზის სადგურის მახლობლად; სწორედ კარებზედ უვლის ავჭალის კონკა.

ოთახები საუცხოვოდ არის მორთული და მოწყობილი.

**ფასი მეტად იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:**

დღეში **60** კაპეიკიდგან **1** მან. **50** კაპეიკამდე. თვეობით უფრო იაფად.

(10—97—3) დავშთები მარად პატივის მცემელი ნიკო თოფურია

## ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამ.

აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განთვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—75—15)

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ვ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი.

გამწესებულ იქმნა სამსახურს გარეშე მოხელე ფოსტალიონი ტყეშელაშვილი — ფოსტალიონად საშუალო აზიის რკინის გზის კრასნოვოდსკ-ჩარჯუის შტოზედ.

## ახალი ამბავი

*** როგორც ვუწყით, ტფილისის ქალაქის საბჭომ რუსეთის პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადების დღიდგან 100 წლის შესრულების სახსოვრად დაადგინა: დაარსოს პუშკინის სახელზედ: 1) ორი პირველ-დაწყებითი ერთ-კლასიანი სკოლა; 2) წიგნთ-საცავ-სამკითხველო და 3) ოთხი სტიპენდია ადგილობრივს გიმნაზიებში. ტფილისის გუბერნატორმა ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა შეუძლებლად სცნო, უმთავრესად იმ მოსაზრებით, რომ ქალაქი ამ საქმისათვის ვერ გადაირჩენს ფულს. გუბერნატორის აზრით, ქალაქმა უნდა სახსოვარ-ჰყოს პუშკინი იმით, რომ უწოდოს მისი სახელი ქალაქის რომელსამე საზოგადო-სასარგებლო დაწესებულებას.

*** 12 ივლისს ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ სენატმა, განიხილა რა საქმე ქალაქის გამგეობის წევრის, გამგეობის საამშენებლო განყოფილების მმართველისა და ქალაქის ტეხნიკოსისა, რომელთაც ისა ჰბრალდებათ, რომ მათის უყურადღებობის გამო დაიქცა თავ. ორბელიანის სახლი და ქვეშ მოჰყვა სამი მუშა, არა სცნო ბრალდებულნი დამნაშავეებადაო.

*** 12 ივლისისათვის დანიშნული სხდომა ტფილისის ქალაქის საბჭოსი აღარ შესდგა ხმოსანთა ჯეროვან რიცხვის დაუსწრებლობის გამო და გადადებულ იქმნა 15 ივლისისათვის. თუ არც ეს უკანასკნელი სხდომა შესდგა, მაშინ ყველა განსახილველ საქმეებს გუბერნატორი გადასწყვეტს.

*** არ იქმნა, არ მოისპო ტფილისის წყლის მილების უწეს-რიგობა: აგერ თითქმის ერთი კვირა გადის, რაც მტკვრის მარჯვენა მხრის მცხოვრებლები 8—10 საათის განმავლობაში ყოველ დღე უწყლოდ სხდან.

*** ივლისის სიცხეების გამო ტფილისის გუბერნიაში ციება შესამჩნევად გაძლიერდა დუშეთისა და სიღნაღის მაზრებში, სადაც ამ ავადმყოფობამ გადამდებ სენის სახე მიიღო.

*** დამტკიცებულ იქმნა ის პირობები, რა პირობებითაც უნდა იმოქმედოს რუსეთში ფრანგთა სააქციო საზოგადოებამ, რომელსაც ეწოდება „კავკასიის სამრეწველო და სამეტალურგიო უსახელო საზოგადოება“.

*** „მთავრობის კანონ-დებულებათა და განკარგულებათა კრებულში“ გამოცხადებულია, რომ ქ. სიღნაღში დაარსდება მარიამის სახელობის საქალებო სასწავლებელი.

*** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, წარმოდგენებისა და სხვა გვარ გართობის გამართვა 15 ივლისს არ იქნება.

*** „კავკაზ“-ს რაჭის მაზრიდგან სწერენ: მთელს მაზრას, რომელიც განიყოფება ზემო და ქვემო რაჭად და შეიცავს 73 ათას მცხოვრებს, აქვს ერთად-ერთი საფოსტო-ტელეგრაფო განყოფილება, რომელიც ამასთან თითქმის მაზრის განაპირად იმყოფება, სახელდობრ, დ. ონში. ამ სახით მითი სარგებლობს მხოლოდ ონი და რამდენიმე მის მახლობელ მდებარე სოფელი ზემო რაჭისა. ქვემო რაჭა კი, რომელშიაც 59 სოფელია და 34 ათასი მცხოვრები, სრულიად ვერ სარგებლობს ამ განყოფილებით, რადგან ეს უკანასკნელი 40—70 ვერსის მანძილზედ იმყოფება ქვემო რაჭის დასახლებულ ადგილებიდგან. ამის გამო ძალიან სასურველია დაარსებულ იქმნას ჯერჯერობით მცირე საფოსტო განყოფილება, სახელდობრ სოფ. სადმელში, რადგან ეს ადგილი უფრო მომარჯვებულია მრავალ მის გარშემო მყოფ. სოფლისათვის. ამასთან სახეში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ქვემო რაჭის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი ადგილ-მამულის სივიწროვისა გამო სამუშაოდ გადის ტფილისსა, კახეთსა და კავკასიის სხვა ადგილებში და ფოსტა მათ დიდ სამსახურს გაუწევთ. გარდა ამისა მცირეოდენი ხარჯია საჭირო საფოსტო განყოფილებათა დასაარსებლად სოფ. ამბროლაურსა, ნიკორწმინდასა და ბუგეულში იმ პირობით, რომ წერილები ამ სოფლებიდგან იგზავნებოდეს სადმელის განყოფილებაში. აგრეთვე მოსახერხებელია საფოსტო განყოფილებათა დაარსება სოფ. ხვანჭკარასა

## ფელეტონი

### ზამთრის ღამე

(მოთხრობა ოარქე შკოსი)

(დასასრული *)

— ჰოჰო! მამიდაჩემის ზღაპარმა როგორ მოაწყინა გოგოები! უთხრა ჩუმად ეგნატეს. მოიცა, ახლა უყურე როგორ დავაფეთიანო!

ადგა და გავიდა გარეთ... უცბად შემოვარდა და კარებიდგან დაიძახა:

— არიქა, თავს უშველეთ!.. ბეკი არის აქ, ბეკი! უშველებელი დანა უჭირავს ხელში. ვაიმე, ვაიმე!

გოგოები წამოცვივდნენ... ზოგი კუთხეში მიიმალა, ზოგი საწოლ ქვეშ შეძვრა... ეკატერინე შკილს მივარდა, პატარა იაკობი მამას ამოეფარა! თითქმის კაცებსაც შეეშინდათ, მაგრამ ერთმანეთს გადახედეს და გულიანად გაიცინეს! დედაკაცები-კი ცოტა არ იყოს დამშვიდნენ.

— სულელო! შესძახა ეკატერინემ მაზლს, მეტი ვერა გამოიგონე-რა? ამოდენა ხალხი დაგვაფეთიანე!..

ანიკოს დიდხანს ეჭირა გულთან ხელი, ისე უცემდა საბრალოს გული!

— აი შე ავყიავ! ეუბნებოდნენ ანტონს; შენ რაღაცა საუბედუროდ ასტყდი! ღმერთმა-კი დაგვიფაროს და ვგონებთ მართლა მოვიდეს ის ბეკი.

— რაღა მოსვლა უნდა! ის აქ არის... აი ამოდენა დანა უჭირავს— იცინოდა ანტონი და ჰსჭიმავდა ხელებს ორ-ალაბზედ.

— კმარა, კმარა,—სჯობს ვიმღეროდ რამე! უთხრა ეკატერინემ.

დაიწყეს სიმღერა..

ანტონის ხუმრობას სტუმრისთანათ არავინ შეუშინებია. როდესაც ანტონი შემოვარდა და დაიძახა: „ბეკია აქაო“! სტუმარი მარიამთან იჯდა... ისე წამოვარდა, თითქოს დაუძახეს ან ფერდში დანა ჰკრა ვინმემაო. ჯოხი, რომელიც მუხლებში ჰქონდა ჩაყენებული, მოიგდო უცბად ხელში და გაექანა კარებისაკენ. როდესაც სიცილი დააყარეს ბიჭებმა, მაშინ მიხვდა რაც ამბავი იყო,—შედგა, მიიხედ მოიხედა, მივიდა ისევ ბუხართან და ულონოდ დაეშვა. ეტყობოდა, რომ ძალიან შეშინებულიყო. ამასა და სიმონს შუა რაღაცა კასრი იდგა... ასე რომ სიმონი მარტო სტუმრის სახეს ჰხედავდა; სიმონი დააკვირდა და შეკრთა:

— დიდება შენდა ღმერთო!.. წაიბუტბუტა სიმონმა. სახე, რომელიც კასრის უკან მოსჩანდა, რაღაცა მოჩვენება ეგონა... ვეღარ მოაცილა თვალი სახეს. ღმერთო ჩემო!—ჰბუტბუტებდა იგი: ეს ხომ იაკობია, დიახ, რასაკვირველია, ის არის! მხოლოდ ფერი დაჰკარგვია მის ლოყებს და მწუხარებას დაუღრეჯია მისი სახე...

— სტუმარიც უყურებდა მოხუცს... ოო, მერე რა ნაირად უყურებდა. მამა, მამაჩემო! ამბობდა იმისი თვალები: მოიგონე შენი შვილი, მოიგონე, რა ვიყავი მე? შემომხედე, ახლა რა ვარ, მოიგონე ის მზიანი დღეები, როდესაც მე და შენ სათევზაოდ ვიყავით... შენ თევზები მოგქონდა, მეკი ქვიშაზედ ფეხ-შიშველი მივირბოდი წინ... გახსოვს?

— ღმერთო ჩემო!— იმეორებდა სიმონი.

— ოხ, მამავ, მამავ!—იმეორებდა მეტყველი თვალები კარს უკან: ნეტავი შემეძლოს იმ დროის დაბრუნება! რა მყუდროდ და მხიარულად ხართ თქვენ, აქა.... და მე კი მშიერი და მწყურვალი დავწანწალებ აქეთ-იქით და არ ვიცი, სად შევაფარო თავი... ამბობენ, ავაზაკიაო, ხალხისათვის ბოროტი ჰსურსო!.... ნუ გჯერა, ნუ!

სიმონი მთლად მოიკაკვა და საშინლად შეჰმუხვნა წარბები....

გოგოებმა სიმღერა განაგრძეს, თუმცა კი ყმაწვილი ბიჭები არ იღებდნენ მონაწილეობას.

— რას აკეთებთ, ბიჭებო, მანდ? დაუძახა ეკატერინემ.

— ახლავე, ახლავე!

— ახალ გაზდა ბიჭები მოგროვილიყვნენ ოთახის ბოლოს და რაღასაც ჩურჩულობდნენ. შლიდნენ ხელებს.... ხელს უშვერდნენ ერთმანეთს სკამისაკენ, რომელზედაც იჯდა მარო, კარების, სტუმრისკენ....

რამდენიმე წუთის შემდეგ მოისმა ანტონის ხმა:

— ვინა ხარ? დაუყვირა იმან სტუმარს, აბა მაჩვენე შენი ვინაობის მოწმობა. ურიგო არ იქნება, ვიცოდეთ, ვინა ხარ?

მთელმა გროვამ წამოიწია ბუხრისაკენ. წინ ანტონი მოუძღოდათ.

— გვიჩვენე, გვიჩვენე ქაღალდი! უქაღალდოდ აკრძალულია წანწალი!

— იქნება ბეკი ხარ, ან იმისი ამ-

*) იხ. „ივერია“ № 144.

ტოლასა და წესში, რადგან ეს სოფლები მოშორებულია საფოსტო გზიდგან.

*** „ახ. მიმ."-ს ქუთაისიდგანა სწერენ: ბანკის არჩევნების დროს დაჭრილი თავ. ჩიჩუა ამ ჟამად თითქმის მორჩა და ამ დღეებში სულაც გამოიწერება საავადმყოფოდგან. მკურნალთა მოწმობით, ისეთი ოპერაცია, რომელიც ჩიჩუას გაუკეთეს, იშვიათია, და მისი გადარჩენა მარჯვე ოპერაციის გარდა, უნდა მიეწეროს მის არა ჩვეულებრივს ჯანმრთელობას.

*** გაზ. „С. О."-ა ქუთაისის გუბერნიისათვის მეტად საყურადღებო ამბავს იუწყება. როგორც ეს გაზეთი გადმოგვცემს, მიწად მოქმედებისა და გზათა მინისტრების და კავკასიის მთავარ-მართებლის მოლაპარაკების შემდეგ შემდგარა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს მდ. რიონის მიმდინარეობის გაწეს-რიგება. კომისიამვე უნდა შეიმუშავოს ის ზომები, რომელთაც უშიშარ უნდა ჰყონ ამ მდინარის ადიდებისაგან ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა სახნავი მამულები და ადგილები.

*** 19 ივლისს ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია გასახილველად საქმე გაზ. „ტფილისის ფურცლის" რედაქტორის ხაჩატუროვისა და იმავე გაზეთის თანამშრომლის ბ-ნ მიხაილოვისა, რომელთაც ბრალდებათ, რომ მათ გაზეთის საშუალებით ცილი დასწამეს თერგის ოლქის საერო სასწავლებელთა დირექტორს დ. ს. ს. გრუშევსკის.

*** ახალ-სენაკი. აგერ თითქმის ოცი დღე იქნება მას აქეთ, რაც წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილა. საშინელი სიცხეები დაიჭირა. ისეთი გოლვაა, რომ გარეთ კვერცხი შეიწვება.

*** 1898 წლის 1-ლ სექტემბრიდგან 1899 წლის 1-ლ მაისამდე ბაქოს საბაჟოდგან გაუზიდნიათ საზღვარ-გარეთ 1.438,252 ფუთი შაქარი, ხოლო ტფილისის საბაჟოდგან-კი გასულ წლის 1-ლ სექტემბრიდგან 1-ლ დეკემბრამდე—2.164 ფუთი.

*** ამ დღეებში ტფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩა ცნობილი საქმე პლიუშჩევსკისა, რომელსაც თავ. გ. ი. მუხრან-ბატონმა დააბრალა ყალბ ქაღალდის შედგენა 99 ათასის მანეთის ამოსაგებად და რომელმაც ამ საქმის გამო თავი მოიკლა. ოლქის სასამართლომ დაადგინა: პლიუშჩევსკის მემკვიდრე ქალთა დავის უზრუნველ-საყოფელად თავ. გ. ი. მუხრან-ბატონის უძრავის ქონების ერთი ნაწილი მადათოვის კუნძულზედ, სივრცით 7,150 ოთხ-კუთხი საჟენი, დაჭერილ იქმნას და აღიკრძალოს მისი გასყიდვა.

*** რადგან ბირჟის მეეტლებთ ეტლები არ გაჰყავთ რკინის გზის სადგურზედ სააგარაკო მატარებლების მოსვლის დროს და მგზავრები ხშირად იძულებულნი არიან სადგურიდგან ფეხით წამოვიდნენ, ამის გამო ქალაქის გამგეობამ დაავალა ბირჟის მეეტლეთა მამასახლისს დანიშნოს ხოლმე ეტლები სადგურზედ გასავლელად სააგარაკო მატარებლების დასახვედრად.

*** ქალაქის მოურავის მოადგილემ მ. ს. შესტაკოვმა წინადადება მისცა ქალაქის ინჟინერს გასწმინდოს მიხეილისა და ასათიანის ქუჩები და ყველა ის ვიწრო ქუჩა, რომელიც რკინის გზის სადგურის მხრით მიხეილის ქუჩისაკენ მიდის.

*** 12 ივლისს დილის 8 საათზედ მიხეილის ქუჩაზედ სულხანოვის დუქანში სოფ. ენაგეთის მცხოვრებს გარსევან სელაპინოვს ჩხუბი მოუვიდა ტფილისის მცხოვრებ მიხეილ ვართანოვთან, რომლის დროს ეს უკანასკნელი ზურგში ოთხს ადგილას დასჭრა. დაჭრილი საავადმყოფოში გაჰზავნეს.

*** 11 ივლისს ტფილისის მცხოვრებმა ჩაბრაამ ზარიძემ პოლიციაში განაცხადა, რომ ჩემის სათერძო სახელოსნოს ოთახის კარები გაუტეხიათ და მოუპარავთ იქიდგან 14 ნაჭერი შალი, 70 მანეთად ღირებული და ერთი ჩერქეზკა, 5 მან. ღირებული. იმავე დღეს პოლიციამ ქურდი იპოვნა, რომელიც აღმოჩნდა სპარსეთის ქვეშევრდომი შაქაროვი.

*** 11 ივლისს, ზუბალოვის ქარვასლასთან, ჩხუბი მოუვიდათ აბდულ გამიტ აჯინტაევსა და დავით ეგიაზაროვს, აჯინტაევმა ხანჯლით მძიმეთ დასჭრა ეგიაზაროვი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

## წერილი ბაქოდგან

მთელს ხმელეთზედ ცოტაა ისეთი ადგილი, სადაც ბაქოს აუარებელ სიმდიდრის ხმა არ იყოს მიწვდენილი. ეს ხმა მოდებული აქვს დიდ რუსეთს და მთელს ევროპას, და კიდეც ეს არის მიზეზი, რომ ყოველ ჯურის კაცს შეხვდებით ბაქოში: ინგლისელს, გერმანელს, ფრანგს, სომეხს, რუსს, ქართველს, პოლონელს, ურიას, ჩეჩენს, ინგუშს, ოსს და სხვა. ყველა აქ ეტანება, დიდი, პატარა, ოხუცი, ყმაწვილი, ნასწავლი და უსწავლელი. ბრძოლა არსებობისათვის ყველგან გამწვავებულია, და ეს მიზეზი ატოვებინებს კაცს სახლ-კარს, სამშობლოს, გულითადს საყვარლებს და ჰგზავნის „ბედნიერების საძებნელად". მიდის კაცი იმედებით აღფრთოვანებული: კარგ სამსახურს ვიშოვი, გავმდიდრდები, ოჯახს სიღარიბეს მოვაშორებ და უზრუნველი ისევ სამშობლოს დავუბრუნდებიო. მიდის ბაქოში და რას ხედავს? ჯერ სრულიად ვერ შოულობს საქმეს, რამდენსამე ხანს ტყუილად დაეხეტება და ჰხარჯავს ვალითა და ვახშით აღებულ უკანასკნელ გროშს. ხშირად მოხდება, რომ ბევრს უკან წასასვლელი ფულიც აღარა აქვს ხოლმე, და ან-კი რაღა პირით დაუბრუნდეს სახლს? ბოლოს რის ვაი-ვაგლახით შოულობს სამსახურს 30—40 მ. თვეში, მაგრამ რა ფულია ეს, მაშინ როდესაც ერთს ოთახს, რაც უნდა უვარგისი იყოს, 15 მან. ნაკლებ ვერ იშოვით ბაქოში? ეს ფული, რასაკვირველია, არა ჰყოფნის საცხოვრებლად და იძულებულია, თვე და თვე კანტორის ვალი წამოიღოს 15—20 მან. ამ სახით საბრალო მოსამსახურე საწინდრათ რჩება საქმის პატრონთან. მიდის დრო, ამუშავებენ შეუბრალებლად და ისიც ჰმუშაობს; ან-კი რა ნება აქვს არ იმუშაოს, როდესაც ყოველივე მისი წუთიც-კი გაყიდულია, და დროს-კი, რომელიც ასე ძვირფასია ბაქოში, არავის აჩუქებენ. ჰმუშაობს და თითონ-კი იმდენს იღებს, რომ მხოლოდ შიმშილით არ მოკვდეს და ამ სიცოცხლის ჩუქებასაც ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ამუნათებენ. როცა იქნება, ასეთი აუტანელი შრომა, ცუდად საზრდოობა, ნოტიო სახლი და სხ., რა თქმა უნდა, ჩააწვენს ლოგინში და ხშირად—საუკუნოდაც. კვდება საწყალი და უარესად ეშხამება სიკვდილის წუთებიც-კი იმ ფიქრით, რომ თავისიანებს გამოუთქმელის მწუხარების მეტს არას უტოვებს; არავინა ჰყავს მომვლელი, გულ-შემატკივარი, დამტირებელი და სხ. ასეთია ბაქოში მოსამსახურეთა უმეტესობის ხვედრი.

აქაური სიძვირე ხომ ერთს უმთავრესს გაჭირვება უბედურებას შეადგენს მოსამსახურეთათვის. მაგალითად, გირვანქა ცხვრის ხორცი, რომელიც არ ვიცი რა მოსაზრებით იყიდება უნიხროდ, ფასობს 20—30 კაპ. რაც შეეხება სახლების ქირას, სახედრის სადგომიც-კი თვეში 12 მან. ღირს! არა გჯერათ? ინებეთ საბუთი. ერთმა სახლის მაძიებელმა შემდეგი სასაცილო, მაგრამ უტყუარი ამბავი მიამბო:

„ვიპოვე, როგორც იყო, ერთი სახლი, რომლის სარკმელზედაც გაკრული იყო განცხადება: იძლევა ქირით ერთი ოთახი ძირის სართულშიო. წინდვე უნახავად გამომიცხადეს, რომ თვეში 12 მან. ჰღირსო; ვითხოვე, ეჩვენებინათ, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ ჩემს განცვიფრებას, როდესაც ჩემს მომავალ რეზიდენციაში დავინახე დროებით მცხოვრებლად—ვირი! დიახ, ბატონებო, ვირი!

— ეგ სახედარი რომ მაგ. ოთახიდგან გამოიყვანოთ და მე მხოლოდ ღამ-ღამობით დავიძინო შიგ,—8 მანეთად არ მომცემთ?—შევეკითხე პატრონს.

— არა!—მომიჭრა სიტყვა სახლის პატრონმა.

— მომითმინეთ, ჩემსა და ვირს შორის განსხვავება გახლავთ: ეგ სახლს გაგიფუჭებთ და მე-კი...

— ამ შემთხვევაში ჩემთვის—გამაწყვეტინა სიტყვა—არავითარი განსხვავება არ არსებობს, რადგან ეგეც 12 მან. იხდის თვეში. რაც შეეხება იმას, რომ სახლს გაგიფუჭებსო, სცდებით: ეგ სულ სხვა თვისების სახედარია, ჩუმი, წყნარი... შეიძლება თქვენც წყნარი იყვეთ, მაგრამ იმის თავდები ვინ არის, რომ არ დაითრობით როდისმე და რამე უწესოებას არ ჩაიდენთ.—ამას-კი, როგორც მოგეხსენებათ, დათრობა არ უყვარს, დაუმატა სახლის პატრონმა და მეც მოვშორდი გაბრაზებული".

აი, ასე ძნელია სახლის შოვა ბაქოში და აქედგან ადვილად წარმოიდგენთ, თუ როგორ სახლებში უნდა სცხოვრობდნენ ღარიბები.

ბაქოში დაახლოვებით სამოც კაცამდე ითვლება, რომელთა შეძლება 1—40 მილლიონს აღემატება, მაშინ როდესაც ტფილისში ორი-სამი მილლიონერიც ძლივს მოიპოვება. თუ რამდენად კარგი მოქალაქეობრივი ცხოვრება აქვს ბაქოელს, ეს იქიდგან სჩანს, რომ დღემდის რიგიანი სასმელი წყალიც-კი არ მოეპოვება ასეთ მდიდარ ქალაქს, რომლის მცხოვრებნიც იძულებულნი არიან მლაშე და ასუნიანებული წყალი სვან.

ბაქოელს არა აინტერესებს-რა, სიმდიდრის გარდა, რაც შეეხება სულიერ-ზნეობრივ საზრდოს, იმის შესახებ რომ ლაპარაკი ჩამოუგდოთ, სიცილადაც არ ეყოფა: „რის სინიდისი, რა ნამუსი!?. აბა გაიტანე ეგ შენი სინიდისი ბაზარში, თუ ორი შაური მოგცეს. ფული,—აი ნამუსი, ფული,—აი სინიდისიო. გეტყვის თავმოწონებით ბაქოელი მდიდარი. „შევიძინოთო", რა გზითაც უნდა იყვეს, პატიოსნობით იქნება, თუ სიყალბით, სხვის ოფლით, თუ თავისის შრომით... „შევიძინოთ და მხოლოდ შევიძინოთო"!—აი ბაქოელის მრწამსი. დღე-და-ღამ იმის ფიქრშია, თუ როგორ გაასწროს მეტოქეს, ანუ როგორ წამოეწიოს თავისზედ მდიდარს; არ იცის სიბრალული, სხვისი დაცემა ჩალადაც არ უღირს. უფრო მეტს ვიტყვით, სხვისი დამხობა იმას სარგებლობას მოუტანს და მაშ რაღა ბაქოელი იქნება, თუ არც ისარგებლებს მეტოქის დაღუპვით? სეირნობის, სტუმრობის და ქეიფის დროსაც-კი კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა, სულ „აქციებისა", „ობლიგაციებისა", „პაიების" და „ზაიავკების" შესახებ საუბრობენ, სამი დღის მშიერმა კაცმა რომ ხელი გაუწვდინოს და მოწყალება სთხოვოს, არ იფიქროთ, რომ გაიკითხოს: გროშს არ მისცემს, რადგან საბრალო მშიერ კაცს არც „ზაიავკა" აქვს და არც „აქცია". რაც შეეხება მდიდრის შვილებს, ოო, იმათ სიყრმიდგანვე, ძუძუდანვე აქვთ შესისხლხორცებული დედ-მამის მრწამსი—„სიმდიდრის შეძენა". ბაქოელ მდიდრების ნამდვილ ტიპს წარმოადგენს აწ განსვენებული რილსკი. არაფრის მქონე, მცირე ხნის განმავლობაში იგი მილიონების პატრონი შეიქმნა, მაგრამ ბოლოს მუხთალმა ბედმა

---

ხანაგი? უთხრა მეკასრემ.

სტუმარი წამოვარდა, ის იდგა ბუხრის უკან, მზად იყო გაქცეულიყო როგორც ნადირი, რომლისათვისაც ძაღლები დაუგეშნიათ: ცხვირის ნესტოები გაბერვოდა, კბილები დაეკრიჭნა და თვალები ცეცხლსავით ანთებოდა. მერე ღონივრად მოიქნია თავისი ჯოხი და მიაშურა კარებს. ბიჭებმა ჯერ გზა უტიეს, მაგრამ მერე ვიღაცა სწვდა კისერში და დაიჭირა:

— ვინა ხარ?

— მოწმობის მაგივრად ჯოხს გვიჩვენებ!

— ჰოი, ჰოი!

— როგორც გეტყობა, კარგი შვილი უნდა იყო?

— დაიჭირეთ, დაიჭირეთ, არ გაუშვათ!—ისმოდა ყოვლის მხრივ.

დედაკაცებს თავი კუთხეში მოეყარათ.... ერთი გოგო შიშით კიბის უკან მიკუნჩხულიყო, მეორე საწოლ ქვეშ შემძვრალიყო. მხოლოდ ბარბარეს არც არა გაუგონია რა და არც არა უნახავს—რა.,.. იმას დიდი ხანია ეძინა და ძილში რაღასაც ბოდავდა.

ხერხიანი და ღონიერი სტუმარი ხელიდგან გაუსხლტა მის დამჭერს, ამოეკრა კუთხეს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა იგერიებდა ბიჭებს ფეხებითა და ხელებით. ამან უფრო გადარია ბიჭები. ისინი ილანძღებოდნენ და იწევდნენ საცოდავისკენ... ბოლოს ანტონმა და მეკასრემ როგორღაც გამოაგდეს კუთხიდგან უბედური, წააქციეს და დააწვნენ ზედ.

— თოკები! აბა, დედაკაცებო, თოკები მოიტანეთ. მაგრამ არც ერთი დედაკაცი არ დაიძრა ადგილიდგან.

ბარბარე-კი ძილში ბოდავდა....

— გამიშვით, თუ ღმერთი გწამთ, გამიშვით, მე თქვენთვის ხომ არა დამიშავებია—რა? ეხლავე წავალ... დავიკარგები... ჩემი ჩრდილიც კი არ იქნება აქა... მხოლოდ გამიშვით თქვენ თქვენი ღმერთი!...

პასუხის მაგივრად ბიჭებმა სიცილი დააყარეს და დედაკაცებს ეხვეწებოდნენ, თოკები მოგვიტანეთო.

მოხუცი სიმონი წამოდგა, წელში გაიმართა, ხელი აუქნია, უნდოდა რაღაც ეთქვა, წაივლო თმაში ხელი და დაეცა სკამზედ.. მერე მარდად ადგა, გაბრუნდა ბუხრისაკენ;.. ბარბარე კვლავ ჰბოდავდა:

— ოჰ! მშობელო მამავ, შემიბრალე!..

ანტონი თოკებისთვის გარეთ გამოვარდა.

სტუმარი მალე გათოკეს. ფეხზედ წამოაყენეს... იდგა საცოდავი შუა ქოხში.. გაყვითლებულიყო როგორც მკვდარი, სახე მთლად უთრთოდა... იმის სახეზე ადვილად ამოიკითხავდა კაცი უზომო ტანჯვას.

— რა დაგიშავეთ?—სთქვა მან ბოლოს; მიხედეთ თქვენს ღმერთსა.. თქვენის სულის გულისათვის გამიშვით...

ბარბარე ისევ ჰბოდავდა...

„თქვენ მომკალით, ძმებო.."

— შედექით!—დაიჭექა ქოხში ხმამ, რომელსაც მაშინვე სუყველანი დაემორჩილა...

სიმონმა წამოიწია წინ, ასწია მრისხანედ ხელი და მოამზადა მუშტი. რას ერჩით მაგას?.. ვის რა დაგიშავათ, ვის გახლოთ ხელი? სტუმრად მოვიდა!.. გაუხსენით ხელები და გაუშვით!..

გაქვავებული და მრისხანე იდგა სიმონი შუა ქოხში თავისის ტყაპურჭით, რომელზედაც ფართო სარტყელი ჰქონდა შემოკრული.

გაუხსენით ხელები და გაუშვით მეთქი!

ბიჭები თოკებსა ხსნიდნენ, მხოლოდ ანტონმა შეუბრუნა სიტყვა.

— მამა ჩემო, ეს ბეკია, დამიჯერე, ბეკია!

— გაჩუმდი მეთქი, ნუ ჰროშავ!

შემდეგ მოხუცი სტუმართან მივიდა... შემოაცალა გახსნილი თოკები და უთხრა:

— წადი!

სტუმარი დაემხო მიწაზედ და დაუკოცნა სიმონს შიშველი ფეხები! მოხუცს ცრემლები ნაკადულად წამოუვიდა, დაიხარა იგი და ააყენა დამხობილი... არავის არ შეუნიშნავს, ისე ჩაუდო ამ დროს ხელში რამდენიმე ქაღალდის ფული..—წადი, წადი! ხმა მაღლა უთხრა მან. ღმერთმა დაგიხსნას აწ მაინც ცოდვათაგან, დაუმატა ნელის ხმით და თვისი მთრთოლვარე ხელი თავზედ დაადო. ისე გაექანა მგზავრი კარებისაკენ, როგორც გალიიდგან განთავისუფლებული ტყის ნადირი, და გავარდა ქუჩაში.

ნაშუაღამევია, ღრუბლიანს ცას არც ერთი ვარსკვლავი არ ანათებს.. ქარი თავისუფლად ჰზუზუნებს ხეობაში, რუმელშიაც ნაპირებ შემოყინული მდინარე მიიკლაკნება... მდინარის ნაპირას ბილიკზედ ვიღაც კაცი მიდის.,, მიდის ჩქარის ნაბიჯით და არ იცის-კი, სად შეაფაროს საბრალომ თავი?!..

ნ. მღვდლიშვილისა

უმტყუნა და ისე უბედურად გაათავა თავისი სიცოცხლე.

ივ. გვარამაძე

# რუსეთი

—

პეტერბურგის უნივერსიტეტში თხოვნების მიღება იმათგან, ვინც ამ უნივერსიტეტში აპირებენ შესვლას, გაგრძელდება 10 აგვისტომდე.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, ამას წინად იუსტიციის მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომლის ძალითაც სატუსაღოთა და საპყრობილეთა გამგენი ვალდებულნი არიან აუხსნან ხოლმე იმ ტუსაღებს, რომელთაც სასჯელის ვადა გასდით, სად არსებობს შრომის სახლები და რა პირობებით შეიძლება ამ სახლებში შესვლა. ამას გარდა იმ პატიმართ, რომელთაც თავი ისახელეს კარგის ყოფა-ქცევით, განსაკუთრებული მოწმობები მიეცემათ.

— საშუალო სასწავლებელთა უფროსებს დაევალათ იზრუნონ, რომ მოსწავლეთა ბიბლიოთეკებში რაც შეიძლება მეტი თხზულებანი იქონიონ რუსეთის მწერლებისა.

— საერო განათლების სამინისტრომ ნება დართო, რომ გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლების მოსწავლეებმა ერთი ბინა იქონიონ ხოლმე.

— 4 ივლისიდგან მოსკოვის მახლობლად ბაღოსნობისა და მებოსტნეობის კურსები იქმნა გამართული საეროზო გუბერნიების სკოლების მასწავლებელთათვის. მოსკოვის საგუბერნიო ერობამ ამ კურსებზედ 60 მასწავლებელი გაჰგზავნა. სხვა გუბერნიებიდგან 30 კაცი მოვიდა.

— „С. О.“-ს სიტყვით ამ წლის შემოდგომიდგან პეტერბურგში გამართული იქმნება კურსები ბებია ქალებისათვის. სწავლის ვადა ორი წლიწადი იქნება ამ კურსებზედ.

— უსინათლოთა მთავარ სამზრუნველოს აზრადა აქვთ რუსეთის ყველა იმ სკოლასთან, სადაც უსინათლოებს ასწავლიან, დააარსოს განსაკუთრებული დამხმარებელი ფონდები. ამ ფონდიდგან დახმარება უნდა აღმოუჩინოთ ხოლმე იმ შეუძლებელ უსინათლოთ, რომელნიც სკოლას ათავებენ და რომელთაც თავიანთის შრომით უნდა შეინახონ თავი.

— ვაჭრობისა და მანუფაკტურის დეპარტამენტმა განმარტა, რომ იმ სარდაფებში, სადაც მხოლოდ რუსეთის ღვინოები ისყიდება, აკრძალულია ყოველგვარ სხვა მაგარ სასმელის გაყიდვა, რუსეთისა იქნება ეს სასმელი, თუ უცხო ქვეყნისა. ხოლო ის სარდაფები, რომლებშიაც რუსეთის ღვინოების გარდა სხვა მაგარი სასმელიც ისყიდება, უნდა ჩაირიცხოს ისეთ სარდაფებად, რომელთათვისაც სავალდებულოა მეორე ხარისხის ვაჭრობის მოწმობის შეძენა.

# უცხოეთი

—

**იტალია.** ამას წინად იტალიის კონსერვატორმა მთავრობამ კანონ-პროექტი წარუდგინა პარლამენტს რადიკალთა და სოციალისტთა წინააღმდეგ, რომელთა გაძლიერება მას საშინელ შიშის ზარსა სცემს, რადგან დღეს თუ ხვალ ძირს ჩამოაგდებენ. კანონ-პროექტმა ყველა დემოკრატების მხრივ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი სასტიკად აღიჭურვნენ მის წინააღმდეგ „ობსტრუქციის“ საშუალებით და კიდეც ცილ-ცხელობით წაადებინეს უკან მთავრობას მისი პროექტი. რაკი სამინისტრო პროექტით ვერას გახდა, შემდეგს საშუალებას მიჰმართა: მან წარუდგინა პარლამენტს მეფის დეკრეტი, რომლის ძალით: 1) პოლიციას უფლება ეძლევა აკრძალოს კრებები და მიტინგები; 2) შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება ეძლევა აკრძალოს ის საზოგადოებანი, რომელთაც საგნადა აქვთ შესცვალონ თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება და სახელმწიფოს მართვა-გამგეობა; 3) სამი და მეტი მოხელე ან მუშა რკინის გზისა, ფოსტა-ტელეგრაფისა და განათებისა, რომელნიც გაფიცვის შესახებ მოილაპარაკებენ, დატუსაღებულ იქმნებიან სამის თვით ან დაჯარიმდებიან ათასი ლირით (400 მან.) და სხ. ამ დეკრეტმა კიდევ უარესი მღელვარება და წინააღმდეგობა გამოიწვია პარლამენტში, სადაც მუშტი-კრივი-კი დატრიალდა, და ბოლოს დეკრეტიც თავისს პატრონს ჩაჰბარდა. დეკრეტმა აღელვა ხალხი მეფის წინააღმდეგაც და შეფიქრიანებულმა მეფე ჰუმბერტომ პარლამენტის საზაფხულოდ დახურვის შემდეგ დიდი უკმაყოფილება გამოუცხადა მინისტრ-პრეზიდენტს გენერალს პელუს, რომელსაც უსაყვედურა, თქვენი პოლიტიკა მოკლებული იყო ყოველ წესიერებასაო. პელუმ, რასაკვირველია, დაიცვა მეფის წინ თავისი პოლიტიკა და ამტკიცებდა, ჩემი პოლიტიკა აუცილებლად საჭირო იყო მეფის საწინააღმდეგო და სარევოლიუციო მოძრაობის მოსასპობადაო. შემდეგ პელუმ განუმარტა მეფეს თავისის მომავალ მოქმედების გეგმა, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: პელუს განზრახვა აქვს ისარგებლოს პარლამენტის სხდომების შეწყვეტით ამ ზაფხულში და იხმაროს ყოველი ღონე სოციალისტურ და რევოლიუციონერ ჟურნალ-გაზეთების ასალაგმავად და რევოლიუციონერთა ასოციაციების დასახურავად. ოქტომბერში პარლამენტის მოწვევის მაგივრად დანიშნავს ახალი არჩევანები. პელუ დარწმუნებულია, რომ ამ არჩევანების მეოხებით განიდევნებიან პარლამენტიდგან დემოკრატები და ამ საგნისათვის მთავრობა იხმარს ყოველ გვარ საშუალებას. ასეთია პელუს მომავალ მოქმედების გეგმა, მაგრამ ეს გეგმა არ მოიწონა მეფემ, რომელმაც განაცხადა, მე ხელს არ მოვაწერ დეკრეტს პარლამენტის დათხოვნისა და ახალ არჩევანების დანიშვნის შესახებაო...

სახელმწიფოს შინაგან საქმეთა მდგომარეობა სულ უფრო და უფრო ცუდი ჰხდება. გარდა ამისა, ვენიდგან და ბერლინიდგან გამუდმებით უსიამოვნო ამბები მოდის: გერმანია და ავსტრია სულ უფრო მტკიცედ რწმუნდებიან, რომ იტალიას აღარ აქვს დიდი მნიშვნელობა სამთა კავშირისათვის და რომ, თუ ომი მოხდა, იტალია სრული დაც ვერ შეასრულებს იმ მოვალეობას, რომელიც მან იკისრა ავსტრია-გერმანიასთან დაკავშირების დროს, რადგან, უეჭველია, იტალიაში მაშინვე რევოლიუცია იფეთქებს, როგორც-კი ომი დაიწყება, ამის გამო ჯარი შინაურ მტრის დასაცხრომად შეიქნება საჭირო და, მაშასადამე, იტალია ვეღარ დაეხმარება თავისს მოკავშირეთ.

**საფრანგეთი.** გაზეთებში საინტერესო ცნობებია ნემეცურისა და ინგლისურის ენების სწავლების შესახებ საფრანგეთის სასწავლებლებში. კონდორსეს ლიცეუმში პარიჟში 143 კაცი ნემეცურს ენას სწავლობს თურმე და მხოლოდ 34—ინგლისურს. მეორე ლიცეუმში ნემეცურს სწავლობს 89 კაცი, ინგლისურს—27. ერთ გიმნაზიის მეოთხე კლასს სამი განყოფილება ჰქონდა და თითოეულს განყოფილებაში ცალკე მასწავლებელი ყოფილა ნემეცურის ენისა, ხოლო ინგლისურის ენის მსურველი იმდენი არა ყოფილა, რომ სამივე განყოფილებისათვის ერთის მასწავლებლის დაქირავება ღირდეს. მონტენის ლიცეუმში 506 კაცი სწავლობს ნემეცურ ენას და 188 ინგლისურს. დანარჩენ საშუალო სასწავლებლებშიაც ასე არის. Ecole Fénelon-ის დაბალს კლასებში ინგლისურს ენას სწავლობს სულ 11 კაცი, და ნემეცურსკი 120. პროვინციებშიაც ასეთსავე მოვლენას ამჩნევენ. ლილის ლიცეუმი 47 კაცი რომ ნემეცურს ენას სწავლობს, 21 ინგლისურს. მარსელის გიმნაზიაში ორი მესამედი მოსწავლეებისა ნემეცურს სწავლობს, ერთი მესამედიკი ინგლისურს. პარიჟის უმაღლეს პოლიტიკურს სასწავლებელში (Ecole des Sciences Politiques), საიდგანაც გამოდიან მომავალი დიპლომატები და სახელმწიფო მოღვაწენი, ხუთი წილი ნემეცურს სწავლობს და ერთი წილი ინგლისურს.

—

**ინგლისი.** წარჩინებულ ლიბერალებს კომიტეტი შეუდგენიათ ლონდონში იმ განზრახვით, რომ ტრანსვაალთან ომის გამოცხადების წინააღმდეგ იმოქმედონ. კომიტეტის მდივნად დასახელებულია კლაიდენი, ინგლისის ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტად ნამყოფი. კომიტეტის ერთ-ერთ წევრად არის ჯონ მორლეი, გაზის ახალშენის პირველ მინისტრის შვილი და გლადსტონის პირველ მერის შვილის შვილი. მაგრამ ამ კომიტეტის შედგენამ ხელი ვერ შეუშალა, სამხრეთ აფრიკაში ახლად გაეგზავნა მთავრობას 15 ასეულეცრი, 213 დაბალი ჯარის-კაცი, 31 ცხენი და 8 ზარბაზანი.

—

**ჩინეთი.** ამხანაგობა შეუდგენიათ ინგლისელ და ამერიკელ მდიდრებს, რომელშიაც წევრებად ჩაწერილან ისეთი გამოჩენილი მილიონერები, როგორიც არიან როტშილდი, მორგანი, ვანდერბილდი, მორტონი და სხ. ამხანაგობას განუზრახავს რკინის გზების გაყვანა ჩინეთში; პირველად კანტონიდგან ხანკოუმდე უნდა გაიყვანოს გზა, რის შესახებ ნება-რთვაც აუღია ჩინეთის მთავრობისაგან. ამერიკელ ამხანაგების წარმომადგენელია ადვოკატი უიტრიჯი. იმას მოუხერხებია მაკ-კინლეის ნახვა და უთხოვნია, რომ ისეთივე ინსტრუქცია გაუგზავნეთ ამერიკის ელჩს პეკინში, როგორიც ინგლისის მთავრობამ გაუგზავნა თავისს წარმომადგენელს, რათა დაეხმაროს ჩინეთის მთავრობასთან და საზოგადოდ მფარველობა გაუწიოსო. ზოგიერთი გაზეთები ამტკიცებენ, რომ მაკ-კინლეი მზად არის დონისძიებანი იხმაროს ამერიკელთა ინტერესების დასაცველად ჩინეთში, მაგრამ სრულებით'ც აზრად არა აქვს ძალა დაატანოს ჩინეთის მთავრობას, რომ ისეთი კონცესსია მისცეს ამერიკელ და ინგლისელ მდიდრებს, როგორც ამ უკანასკნელთ სურთო. ინგლისელებს-კი, როგორც გაკვრით ამბობენ ინგლისური გაზეთები, სწორეთ ის სდომებიათ, რომ ამერიკის მთავრობას ძალა დაუტანებია ჩინეთისათვის. მართალია, ჩინეთმა კონცესსია მისცა ამხანაგობასო,—ამბობენ ინგლისის გაზეთები,—გზა გაეყვანა კანტონსა და ხანკოუს შუა, მაგრამ პირობის შესრულებას ერთობ აჭიანურებსო. ლორდმა სალისბერიმ ბრძანება გაუგზავნა ინგლისის ელჩს პეკინში, ძალა დაატანოს ჩინეთის მთავრობას და შეასრულებინოს თავისი პირობაო, და საჭიროა, ასეთივე ღონის-ძიება იხმაროს შეერთებულ შტატების მთავრობამაცო. უიტრიჯის თხოვნა თუ შეიწყნარა მაკ-კინლეიმ, ეს ძლიერ დაუახლოვებს ინგლისსა და ამერიკას ერთმანეთს ჩინეთში სამოქმედოთ და დიდს სარგებლობასაც მოუტანს სამივე სახელმწიფოსო,—ამტკიცებენ იგივე გაზეთები.

—

**ბელგია.** საარჩევნო ცვლილების საქმემ სრული კრიზისი გამოიწვია. მინისტრ-პრეზიდენტი თანდათან ეთანხმება მეფის აზრს, რომ საჭიროა შემოღებულ იქმნას არჩევანები ოლქებში, მაგრამ მინისტრთა უმრავლესობა ეწინააღმდეგება ასეთ წეს-რიგს არჩევანებისას და სამსახურიდგან გამოსვლას აპირებენ. იმ კომისიაშიაც, რომელსაც მინდობილი აქვს არჩევანების რეფორმის განხილვა, განხეთქილება მოხდა. კლერიკალთა მეთაურმა ვესტემ სამის თავისის მომხრით კომისიის პირველსავე სხდომაზედ ოპოზიციის მხარე დაიჭირა. ყველა ამბობს, კომისიის მუშაობა უნაყოფოდ ჩაივლისო, და პალატის დათხოვნა მიუცილებელიაო. მეფეს განზრახვა თურმე აქვს ახალი კაბინეტი დანიშნოს.

# დამაკვირდი

—

ნახეთ ივლისის მზის შემოქმედობა: იგი ზრდის, იგი სწვავს, იგი აბერებს.

ლასურიძე

***

ვითარცა მზესა ქვეშე ნაყოფი ყოველი გაიზრდების, ეგრეთ ყოველი კაცი მეფეთა სატფურებასა ქვეშე იზრდების.

ფილოსოფ. პლატონ

***

უსწავლელნი სახით ოდენ უმჯობეს არიან პირუტყვთა.

საეკლ. მუზ. № 153

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

შეერთებულ შტატებში, ტენნისში არის ერთი პატარა სოფელი, რომელსაც სახელად რესკინი ჰქვიან. სოფელში სულ 250 მცხოვრებია. მდებარეობს იგი ერთს მეტად მშვენიერს და ნაყოფიერს ველში. დააარსეს ეს სოფელი მუშებმა, რომელთაც ჰსურდათ პრაქტიკულად განეხორციელებინათ იდეები კოპერაციისა; ამ ჟამად სოფელი პატარა დამოუკიდებელ რესპუბლიკას წარმოადგენს. ყველა წევრმა ამ პატარა რესპუბლიკისამ უნდა უეჭველად იმუშაოს. მუშაობა, შრომა სავალდებულოდ არის გარდაქცეული, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელიცაა: რესპუბლიკის წევრი მხოლოდ მაშინ იღებს სარჩო-საცხოვრებელს, როცა დადებულს დროს იმუშავებს.

საყურადღებოა, რომ ასეთის ახალშენის დაარსება უმთავრესად გამოიწვია ედვარდ ბელლამის „საკოპერაციო სოფლის“ პროექტმა, რომელიც ჟურნალ Fhe Coming Nation“ (მერმისის ერი). ხსენებულ ჟურნალის გამომცემელმა სთხოვა თავისს პოლიტიკურ მეგობრებს ეცადით ჟურნალს იმდენი მუშტარი მოუპოვოთ, რომ დღეში 100,000 სადდებოდეს, თუ ეს მოხდა, კარგი მოგება დარჩება, რომლითაც რამდენსამე ათას აკრს მიწას ვიყიდით და ჩვენს მოქმედებას გადავიტანთ, ე. ი. იქ დავაარსებთ ჟურნალის რედაქციას და სტამბას და შემდეგ „კოოპერაციულ სოფლად“ გარდავაქცევთო. გამომცემლის სურვილი განხორციელდა: მართლაც მცირე ხანში გაზეთის ხელის მომჭერთა რიცხვმა 100,000-მდე მიაღწია. 1894 წლის 24 ივნისს რედაქციამ შეიძინა ერთს მიყრუებულს, მივარდნილს ადგილას რამდენიმე ათასი აკრი მიწა და გამართა პირველ ხანს ფარდულის მაგვარი შენობა, სადაც სტამბა და რედაქცია მოათავსეს. იქვე თერთმეტი პატარა ქოხი გამართეს, სადაც რედაქტორი, რამდენიმე თანამშრომელი და ასოთ-ამწყობი დასახლდა. ამ რიგად „კოოპერატიულ სოფლის“ საძირკველი ჩაიყარა. 11 აგვისტოს ამ მიყრუებულ ადგილას დაიბეჭდა ჟურნალის პირველი ნომერი, რომელიც იმავე დღეს რამდენიმე ასი-ათასი ცალი გაიყიდა: თითქმის მთელმა ამერიკამ გამოიწერა ეს ჟურნალი. შემდეგ დანარჩენნი ასოთ-ამწყობნი და თანამშრომელნიც გადასახლდნენ. 1897 წელს სტამბა ახალს, კარგს შენობაში გადაიტანეს. ამ ჟამად სოფელში 40 სახლია და ყველანი ამ სახლებში სცხოვრობენ. არ მუშაობენ იქ შაბათობით შუადღის შემდეგ და კვირაობით მთელს დღეს. ყველანი,—სულ ერთია ვინც უნდა იყოს—რედაქტორი, თანამშრომელი თუ ასოთ-ამწყობი,—ერთის საათის მუშაობაში ერთნაირ სასყიდელს იღებენ. ფული სრულებით არ არის იქ ხმარებაში. ახალშენელს ერთის საათის მუშაობაში ეძლევა ჩეკი, რომლითაც შემდეგ შეუძლიან მიიღოს სანოვაგე და საზოგადოდ ყველაფერი, რაც-კი ცხოვრებისათვის არის საჭირო. ამ რიგად ერთი გირვანქა ჩაი ღირს 11 საათის მუშაობად: იმუშავებთ 11 საათს, აიღებთ ჩეკს და ამ ჩეკით შეიძენთ ერთ გირვანქა ჩაის, ყავა—შვიდი საათი, წყვილი კარგი წაღა—70 საათი, ქალის შლიაპა—15 საათი და სხვა.

ამ ჟამად ახალშენში სრული კეთილ-დღეობაა. გაადვილებული და მარტივი საფინანსო სისტემა არავითარ უთანხმოებას არ იწვევს. საზოგადო თანხა ახალშენს მეტად დიდი აქვს. იმის გარდა, რასაც ახალშენელნი ჩეკით გაიტანენ თავიანთ საცხოვრებლად, მთელი დანარჩენი შემოსავალი გაზეთისა და სტამბისა ახალშენის საკუთრებად ითვლება.

* * *

დანიის სატახტო ქალაქში კოპენჰაგენში ამ ჟამად ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ერთის გაზეთის—„Forposten“-ის საქციელის შესახებ. ხსენებულ გაზეთის გამგეთ ერთის ცირკის დირექტორს დიუკანდერს წინადადება მისცეს, თუ თვიურად გადაპრილს გონორარს (სასყიდელს) მოგვცემთ, ყოველთვის ვაქებთ თქვენის ცირკის წარმოდგენებსაო. რადგანაც დირექციამ უარი შეუთვალა, გაზეთმა ყოველდღე დაიწყო წერილების ბეჭდვა, რომლებშიაც საშინლად აძაგებდა ცირკის წარმოდგენებს და ხშირად დირექტორის შინაურს ცხოვრებასაც ეხებოდა ხოლმე. ამავე დროს „პატივცემული“ რედაქცია კაცებს უგზავნიდა დირექტორს და უთვლიდა, თუ ჩვენს წინადადებას არ მიიღებ, უარესს დღეს დაგაყრიო. ბოლოს დირექტორმა ვერ მოითმინა და საჩივარი აღძრა რედაქციის წინააღმდეგ. გამოძიების შემდეგ დააპატიმრეს გაზეთის რედაქტორი, რედაქციის მდივანი, რომელიც მოსალაპარაკებლად დადიოდა ხოლმე დირექტორთან და ის თანამშრომელი, რომელიც წერილებსა სწერდა.

* * *

დიდ ოკეანეს ნაპირზედ უნახავთ ერთი მეტად უცნაური ხე. ამ ხის ფოთლები იმდენად არის ელექტრონით გაჟღენთილი, რომ კაცს ხელის მიკარება არ შეუძლიან. ფრინველები და მწერები ძალიან ერიდებიან თურმე ამ ხეს.

## ხალხური ლექსები

(გაგონილი და ჩაწერილი ს. ბაზალეთში დ. ა. მოლოდინაშვილის მიერ.

გედანა ნათელაშვილი.

I.

საზანდარო აღდგომელო,
მადლი ახსენე ღვთისაო,
ცოდო-მადლი გაარჩიე

ცოცხალისა და მკვდრისაო.
არაგვის ღორი დაიძრა
არ გაირივა სხვისაო,
მანგლისის ტყეში გავიდნენ
ქოხები ჩასდგეს ხისაო.
ნათელაშვილი გელანა,
სარდალი მწყემსებისაო,
დოვლათიანი კაცია
მისი იღბალი სჭრისაო.
ეს ვერძეული გიორგიც,
ნამტვრევი სალი კლდისაო,
მოჯამაგირეს არიგებს,
როგორც რომ მამა შვილსაო.
მოჯამაგირემ შეჰფიცა,
ფიცი სთქვა მეუფისაო:
— გუშინ რომ ღორებში ვიყავ,
ნავალი ვნახე მტრისაო,
ერთი ვესროლე ურჯულოს,
დავარტყი ძუძუს ძირსაო.
გიორგიმ წამოიძახა:
— ვაი შენს გიორგისაო!
შე ძაღლო, კარგად ვერ გკრავს,
ძალიდ რათა მყრი ჰირსაო?
მაგ თოფის ამბავი ვიცი,
რასაც მოავლებს პირსაო,
არ დააყენებს ფეხზედა,
ბურთივით დასცემს ძირსაო!
ძაანა ჯავრობს გელანა,
სუყველას აძლევს შიშსაო,
— ბიჭებო, ღორი ავყაროთ,
სხვა მთას მიუდგეთ ძირსაო!
არ დაუჯერეს ბიჭებმა,
სხვა და-სხვა ჰპეტი ზისაო.
— არ დამიჯერეთ, ბიჭებო,
მოგვხდებათ თქვენი ჭკვისაო!
გელანამ ღორი აჰყარა,
კარგ მთას მიუდგა ძირსაო.

II

გიორგიმ ფალარათი ქნა,
ტკბილად იძინებს ძილსაო..
დაჯდა და ლესა ხანჯალი,
ტურფად უწყობდა პირსაო.
ექვსშაურაშვილის ხანჯალს
წვერი აქვს ალმასისაო.
შუა ღამე რომ შეიქმნა,
ელვა რომ იქმნა ცისაო:
შვიდ პირად გადმოეფინა
ურჯულო დალისტნისაო.
ამათ პატარა გიგოლა *)
ცხარე ცრემლითა სტირისაო:
— მიშველე ბიძავ გიორგი!
ლეკმა მომიგდო ძირსაო.
მაგრა უკრავდა ხელებსა,
ცრემლები გადმოსდისაო.
— ყრალო! როგორ არ გიშველი,
ჩემი ხარ, განა სხვისაო.
გადაუფრინდა გიორგი
ლეკი მოიგდო ძირსაო.
დასცა, და დასცა ხანჯალი,
შაშვივით ადრენს პირსაო.
ექვსშაურაშვილს გაჰხედეს,
ყველივით ლეკსა სთლისაო;
— გაისარჯენით, ბიჭებო,
ვისიც ხანჯალი სჭრისაო!
ლალიაშვილი ქიტია
ქვევითკენ ჩამორბისაო,
იმდენი დანა არა აქვს,
რომ მოიჭრიდეს ფრჩხილსაო.
განა თუ ერთსა სჩიოდა,
ხუთსა და ექვსსა შვილსაო!
ექვსშაურაშვილი ამბობს,
მე ქომაგი ვარ ძმისაო,
შენ გენაცვალე გიორგი!
მაგ შენ ულვაშებისაო;
მოდი და ძმად გავიფიცნეთ,
ნულარ გამიტეხ პირსაო.
დიდმეღებს გადავეშველნეთ,
დავეკლოთ დიდის ხმითაო,
სახელია და ნამუსი,
არიან ჩვენი წყლისაო.
— მე შენ პირს როგორ გაგიტეხ,
ვაი შენს გიორგისაო!
თუ გიორგი პირს გაგიტეხს,
რისხვა მიეცეს ღვთისაო...
ერთმანეთს ხელი გაავლეს,
მადლი ახსენეს ღვთისაო;
დალესილი აქვსთ ხანჯალი,
არიან კარგის ზნისაო.
გიორგი იწერს პირჯვარსა,
დააცემინებს ცხვირსაო.
გაავლეს ლეკებს ხელები,
მითხარეს რუის პირსაო....
ისე ჩაჰკაფეს ბელადი,
როგორც ტოტები ხისაო.
ნანგრევი საყდარი იყო,
ნაშალი ქვითკირისაო,
სამოცი ლეკი შიგ მოკლეს,
პირს სისხლი ამოსდისაო....
ბიჭები შემოეყარნენ:
— ძმაო, რა ჰქენით მტრისაო?
— სამოცი ერთად ჩავკაფეთ,
დაჰრილებს ვინლა სთვლისაო!
ორი ურჯულო ბელადი
აქ ადგილასა ზისაო,
ორთავ ესროლეს გიორგის
მოარტყეს ძუძუს ძირსაო.
გიორგიმ წამოიძახა:
— ვაი შენს გიორგისაო!
ჯაგებში რას იმალებით,
რატო არ მიხვალთ პირსაო?....
გიორგიმ სული დალია,
ვარსკვლავი მოსწყდა ცისაო.
შესანდობარი დალიეთ
ყოჩაღი გიორგისაო.
ავი ამბავი მიუვა
იმის ცოლსა და შვილსაო.
ვინც მის ძმას შეუსამძიმრებს,
როგორ შეჰხედვენ პირსაო!
მტრისაც შესანანისია,
განა თუ მარტო სხვისაო.
გიორგის კარი გაუღეს
ლამაზი სამოთხისაო,
თან უკან მიაყოლეს
იმ ექვსშაურაშვილსაო.
ოქროს სკამები დაუდგეს,
არც ერთ არ დასვეს ძირსაო.
სწყალობდეთ მამა უფალი;
ნათელი დაადგისაო. *).

*) ძმისწული გიორგი ვერძაულისა

*) ამ ლექსის გმირები ყველანი ბაზალეთელები არიან. ეს ლექსი გამოუთქვა მათმა თანამედროვე და თანამემამულე მეცხვარე ივანე შუშიაშვილმა, რომელიც ხალხში ყალბად და შემოკლებით არის გავრცელებული.

გელანას ქართული თოფი, რომელიც დიდის ზომისაა და ეხლანდელს ვაჟკაცს ვერც-კი უზმარია, ეხლაც ინახება მის (გელანას) ოჯახში ს. ბაზალეთში.

აწ დაუძლურებული მოხუცი შუშიაშვილი თვალცრემლიანი მოსთქვამდა და იგონებდა მათ ვაჟკაცობას, როდესაც ამ ლექსი ვაწერინებდი. დ. ა. მ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ივლისი.

**პეტერბურგი.** 12 ივლისს, 6 საათზედ, ნიკოლოზის რკინის გზის სადგურზედ მოვიდა სამგლოვიარო მატარებელი მემკვიდრე ცესარევიჩის გვამით. მატარებლის მოსვლის შემდეგ პეტერბურგის მიტროპოლიტმა გარდაიხადა ლოცვა. შემდეგ გენერალ-ადიუტანტებმა და გენერალ-ლეიტენანტებმა კუბოს თავი აჰხადეს. ხელმწიფე იმპერატორმა და დიდმა მთავრებმა გამოასვენეს კუბო და დაასვენეს სამგლოვიარო ეტლზედ. პროცესია დაიძრა. ქალაქის ყველა კუთხეში გაისმოდა ზარების რეკა. პეტრე-პავლეს ციხიდგან ისტყდა სროლა. სამგლოვიარო ეტლს უკან მიჰყვებოდნენ: ხელმწიფე იმპერატორი, პრინცი ვალდემარ დანიელი, დიდი მთავრები, პრინცი ალბერტ ალტენბურგი, უმაღლესნი პირნი, ხელმწიფის მხლებელნი; შემდეგ სამგლოვიარო ეტლებით მიდიოდნენ: დედოფალი იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასული, დიდი მთავრინები ქსენია და ოლგა ალექსანდრეს ასულნი და სხ. მთელ გზაზედ ჩარაზმული იყო ჯარი. ამინდი მშვენიერი იყო.

13 ივლისი

**პეტერბურგი.** ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის გვამის დასაფლავება დანიშნულია 14 ივლისისათვის, დილის $10^1/_2$ საათზედ, პეტრე-პავლეს ეკკლესიაში.

**ცეტინიე.** დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და მთავრის ძე მირკო ამალითურთ ანტივარში წავიდნენ, სადაც დანილოს დანიშნულს უნდა დახვდნენ.—იქვეა მთავრის ძე დანილოც.

**ანტივარი.** პრინცესა იუტტას სახელად მილიცა დაერქვა.

**რენნი.** ოფიციალურად გამოცხადებულ იქმნა, რომ დრეიფუსის საქმის გარჩევა დაიწყობა 7 აგვისტოსაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადესს მადლობას ვუძღვნი ქვემორე აღნიშნულთ, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ბაღდადის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოსათვის და დახმარება აღმოუჩინეს მას ფულის შეწირვით. ხელის მოწერა იყო გამართული 13 ივნისს დამაარსებელ წევრთა კრებაზედ სამინისტრო სკოლის დარბაზში. სია შემომწირველთა: ბრონისლავ ფელიქსის ძე ორჟელმა 6 მან., პეტრე ბესარიონის ძე კიზირიამ 4 მან., ივანე პეტრეს ძე ჯაიანმა 3 მან, თავ. ავქსენტი მიხეილის ძე ფალავამ 3 მან., ერმილე ამბაკოს ძე ჩხატარაშვილმა 3 მან., ევსევი სოფრომის ძე გვანცალაძემ 3 მან., ტერენტი სვიმონის ძე გველესიანმა 3 მან., ნიკოლოზ სამსონის ძე ფურცელაძემ 3 მან., ვარლამ ამირანის ძე ბურჯანაძემ 4 მან. გიორგი ალექსის ძე ახვლედიანმა 2 მან., კონსტანტინე პეტრეს ძე ჟორდანიამ 2 მან., თეოდოსი გიორგის ძე კიკვაძემ 2 მ., კონსტანტინე მათეს ძე კაკუშაძემ 2 მან., პროკოპი ალმასხანის ძე მესხმა 1 მ., პლატონ ნიკოლოზის ძე სალაძემ 1 მან., ამბერკი ბესარიონის ძე ბურჯანაძემ 1 მ., ყარამან ლომინის ძე შარაშიძემ 1 მ., ილია მეფარიძემ 1 მ., გაბრიელ ვარძელაშვილმა 1 მ., გალაქტიონ საკანდელიძემ 1 მ., ნესტორ დარის. რობაქიძემ 1 მ., ანტონ ბუცხრიკიძემ 1 მან., ივ. კვინიხიძემ 1 მ., პარმენ ხოხიაშვილმა 1 მ., იაგორ მესხმა 50 კაპ., ვლადიმერ ქაშაკაშვილმა 50 კაპ. სულ 52 მან.

ტერენტი სიმონის ძე გველესიანმა შეწირულს გარდა აღუთქვა სამკითხველოს 50 მანეთი კიდევ სხვაც.

მმართველი სამკითხველოსი, მასწავლებელი ვარლამ ბურჯანაძე

—

დიდს მადლობას ვუცხადებ თ. ი. დადიანს და დ. სარაჯიშვილს, რომელთაც 40 მან. შემომეწივნენ საზღვარ-გარედ წასასვლელად.

ქუთაისის გიმნაზიაში კურს-დამთავრებული მიხელი წერეთელი

# განცხადებანი

## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა თექვსმეტი ვაკანსია: პირველ განყოფილებაში 50 ვაკან. (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და მეორეში 6 ვაკ. (8 და 9 წლის ყმაწვ.) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

2) 56 ვაკანსიიდგან 55 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ერთი საზოგადოების სრულ ხარჯზედ.

3) ვინც საზოგადოების სრულ ხარჯზედ იქმნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები. გარდა დამფუძნებელობისა და სიღარიბისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულნი იქნებიან წილის ყრით.

წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი იმისთვის, რომ ადგილი დაუცალოს ახალ შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, უეჭველად შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზედ დარჩენილი, თორემ მათი შვილები უსათუოდ იქმნებიან დათხოვნილნი პანსიონიდამ.

8) შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ განთავისუფლდეს რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნების შემოტანა შეიძლება აგვისტოს 25-მდის. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской школой на Лабораторной улицѣ въ д. Селикова.

10) აგვისტოს 26 და 27 რიცხვებში მოხდება ხელ-მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 28—31 მისაღები ეკზამენები.

1 სექტემბერს დაიწყება სწავლა.

11) პანსიონში არ იქნებიან მიღებული აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $18^{99}/_{900}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

12) ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთაც შეეძლოს სკოლის გამგეობას მიმართოს, როგორც ფულის თავის დროზე შემოტანისა, აგრეთვე სხვა შემთხვევებშიაც.

---

### აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა ზირკელ ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მელიაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში,

ნ. წერეთელი

(50—6.—3)

---

გამგეობა ამიერ-კავკასიის რკინის გზისა აცხადებს საყოველთაოდ, რომ, რადგანაც მატარებლები № 1 და 2 სავსეა ხოლმე შორეულ სადგურებზედ მიმავალ მგზავრებით, ამიტომ ამა წლის 15 ივლისიდგან ახალ განკარგულებამდე ამ მატარებლებზედ მგზავრობა და აგრეთვე ბარგის გაგზავნა მახლობელ სადგურამდე, დაწყებული ავჭალის სადგურიდგან გორამდე, მოისპობა.

ყველა მგზავრები, რომელნიც ტფილისიდგან მახლობელ სადგურებში მიდიან გორამდე, უნდა წავიდნენ მატარებლებით №№ 7 და 8, რომელნიც იმ აზრით არის შემოღებული, რომ მატარებლები №№ 1 და 2 მეტად არ გაივსოს ხოლმე ხალხით.

(7—4)

---

**პეტერბურგის სამკურნალო გამგეობის** ნება-დართვით ისყიდება პროვიზორის შიხინოვისაგან გამოგონილი

ახალი მარგებელი სასმელი ყავა

ტფილისსა, გორსა, განჯასა, გუმბრსა, ქუთაისსა, ბათუმსა, ფოთსა და სხვა ქალაქების ყველა საუკეთესო მაღაზიებში. (10—6.—4)



სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.